

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

საქართველოს საფინანსო ტელესაკომუნიკაციო კომპანია ჯი-ეფ-თი-სი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2021

შპს საქართველოს საფინანსო ტელესაკომუნიკაციო კომპანია ჯი-ეფ-თი-სი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	Error! Bookmark not defined.
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

		2020	2019	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	781,673	785,785	756,655
არამატერიალური აქტივები	11	466,757	372,120	836,886
სხვა გრძელვადიანი აქტივები		121,100	121,100	121,100
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,369,530	1,279,005	1,714,641
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	222,449	131,053	62,085
სავაჭრო მოთხოვნები		246,839	107,595	120,057
გადახდილი ავანსები		22,096	55,815	11,621
სხვა მარაგები		3,019	3,043	3,052
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		494,403	297,506	196,815
მთლიანი აქტივები		1,863,933	1,576,511	1,911,456
მთლიანი კაპიტალი				
კაპიტალი		9,439	9,439	9,439
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		278,630	166,218	1,213,918
გადაფასების რეზერვი		13,909	20,864	27,818
სულ კაპიტალი		301,978	196,521	1,251,175
ვალდებულებები				
გრძელვადიანი				
ვალდებულებები				
გრძელვადიანი მიღებული სესხი	13	1,065,336	522,865	591,198
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულება		1,065,336	522,865	591,198
მოკლევადიანი ვალდებულებები				

სავაჭრო ვალდებულებები		425,412	461,213	28,691
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ		-	128	-
მიღებული ავანსები		-	-	-
მიღებული სესხები	13	2,407	1,844	-
საგადასახადო ვალდებულებები		0	16,920	13,323
გადასახდელი პროცენტი		-	-	-
სხვა ვალდებულებები		68800	377,020	27,069
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		496,619	857,125	69,083
მთლიანი ვალდებულებები		1,561,955	1,379,990	660,281
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,863,933	1,576,511	1,911,456

დირექტორი

ნიკოლოზ თუთბერიძე

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020

2019

ამონაგები	5	2,705,638	2,401,014
თვითღირებულება		(1828,180)	(803,636)
საერთო მოგება		1,877,458	1,597,378
სხვა შემოსავლები		8,416	20,839
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6	(1,297,881)	(1,147,513)
მიწოდების დანახარჯები		-	-
კურსთაშორის სხაობიდან მიღებული მოგება/ზარალი		(187,234)	(45,272)
სხვა ხარჯები		(26,302)	(559,291)
საოპერაციო მოგება		374,457	(243,225)
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	7	(56,343)	(40,824)
ფინანსური ხარჯი - წმინდა მოგება დაბეგვრამდე		-	-
		318,115	(284,049)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		318,115	(284,049)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		318,115	(284,049)

დირექტორი

ნიკოლოზ თუთბერიძე

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	გადაფასების რეზერვი	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 1 იანვარი	9 439	1 213 918	27 818	1 251 175
წმინდა მოგება		(284 049)		(284 049)
გაცემული დივიდენდი	-	(76 365)	-	-76 365
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	(6 955)	(6 955)
2019 წლის 31 დეკემბერი	9 439	166 218	20 864	196 521
წმინდა მოგება		318 115		318 115
გაცემული დივიდენდი	-	(205 704)	-	(205 704)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-	(6 955)	(6 955)
2020 წლის 31 დეკემბერი	9 439	27 863	13 909	301 978

დირექტორი

ნიკოლოზ თუთბერიძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფი, შპს საქართველოს საფინანსო ტელესაკომუნიკაციო კომპანია ჯი-ეფ-თი-სი (საიდენტიფიკაციო ნომერი 205242325) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #378 ბინა 22, ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #378 ბინა 22. საწარმოს დამფუძნებელია ფიზიკური პირი ნიკოლოზ თუთბერიძე (პ.ნ 01008015814). საკუთრებაში მყოფ ვიწროპირობა კომპანიას წარმოადგენს, შპს ჯი-ბი-თი-სი (საიდენტიფიკაციო ნომერი 405015291) საწარმოს ძირითადი საქმიანობაა მონაცემთა დამუშავება და დაკავშირებული მომსახურებები. ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლის 1 იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფას-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის *მსს ფას-ის* შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.3 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი არ კაპიტალიზდება და არ ზრდის აქტივის ღირებულებას.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15 % წლიური განაკვეთით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.8 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გა-დაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარ-ჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად სა-შუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებ-ული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.9 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.12 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც

შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

შენიშვნა 5		
ამონაგები	2020	2019
შემოსავალი რეალიზიციიდან	2,701,742	2,387,685
კოლოკაციის მომსახურება	1,322	1,322
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6,534	12,611
სულ	2,709,598	2,401,618

კომპანიის ამონაგებს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს, მონაცემთა დამუშავების და მასთან დაკავშირებული მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

შენიშვნა 6		
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2020	2019
ხელფასი	775 674	578 063
საპენსიო დანარიცხები	16 018	11 797
საიჯარო ქირა	28 294	
ბანკის მომსახურების ხარჯი	7 346	5 141
კომუნიკაციის ხარჯები	87 060	103 198
დაცვის ხარჯი	720	720
დაზღვევა	33 946	31 997
რემონტი	400	12 217
კომპიუტერის ხარჯები	1 060	759
ცვეთა და ამორტიზაცია	102 400	112 026
დღგ-ს ხარჯი	5 813	13 133
სხვა საგადასახადო ხარჯი (ქონების გადასახადი)	6 319	6 193
ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხარჯი	3 033	3 806
საოფისე ხარჯი	4 861	8 928
საკონსულტაციო ხარჯი	74 028	108 956
სამივლინებო ხარჯი	11 030	87 212
წარმომადგენლობითი ხარჯი	2 546	14 683
საქველმოქმედო ხარჯი	63 855	-
კომუნალური ხარჯი	2 881	3 112
სხვა საერთო ხარჯი	70 596	45 572
სულ	1 297 881	1 147 513

შენიშვნა 7

ფინანსური ხარჯი	2020	2019
საპროცენტო ხარჯები	56,342	40,825
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1	-
სულ	56,343	40,825

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

თარიღი: 30.09.2021

დირექტორი

ნიკოლოზ თუთბერიძე

